პროექტი

საქართველოს კანონი
„პროდუქტის უსაფრთხოებისა და თავისუფალი მიმოქცევის კოდექსში“
ცვლილების შეტანის შესახებ

მუხლი 1. საქართველოს კანონში ,,პროდუქტის უსაფრთხოებისა და თავისუფალი მიმოქცევის კოდექსში“ (საქართველოს საკანონმდებლო მაცნე (www.matsne.gov.ge), 25.05.2012, სარეგისტრაციო კოდი: 240110000.05.001.016708) შეტანილ იქნეს ცვლილება და კანონს დაემატოს შემდეგი შინაარსის 103^2 მუხლი:

„მუხლი 103^2. დარღვევით ნაწარმოები სამშენებლო სამუშაოებისთვის სამართალდამრღვევი სუბიექტების პასუხისმგებლობისგან გათავისუფლების დროებითი წესი

1. ის სამართალდამრღვევი სუბიექტები, რომელთა მიერ 2007 წლის 1 იანვრიდან 2015 წლის 20 აპრილის მდგომარეობით მრავალბინიან საცხოვრებელ სახლებზე სანებართვო პირობების დარღვევით ან უნებართვოდ ნაწარმოებია სამშენებლო სამუშაოები - შენობა-ნაგებობის, მზიდი ელემენტების, ექსტერიერის რეკონსტრუქცია, თავისუფლდებიან ჯარიმის/საურავის თანხის ან/და მისი გადაუხდელი ნაწილის გადახდისა და ამ კოდექსით გათვალისწინებული პასუხისმგებლობისაგან, თუ მათ მიერ ჩადენილი სამშენებლო სამართალდარღვევა გამოსწორებულია ამ მუხლის ამოქმედების მომენტისათვის ან გამოსწორდება ან კანონმდებლობით დადგენილი წესით დადასტურდება მშენებლობის ნებართვის გამცემი ორგანოს მიერ ამ მუხლის ამოქმედებიდან 1 წლის ვადაში.

2. ობიექტის ან მისი ნაწილის მესაკუთრე ან სხვა უფლებამოსილი პირი, ამ მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებულ შემთხვევაში, ამ კოდექსით დადგენილი პასუხისმგებლობისაგან გათავისუფლების მოთხოვნითა და დარღვევით განხორციელებული მშენებლობის დადასტურების მიზნით მიმართავს მშენებლობის ნებართვის გამცემ ორგანოს ამ მუხლის ამოქმედებიდან 1 წლის ვადაში.

3. მშენებლობის ნებართვის გამცემი ორგანო, დამრღვევის მიერ შესაბამისი დარღვევისათვის გამოცემული აქტისა და ობიექტის მზიდი კონსტრუქციების მდგრადობის დადასტურების შესახებ შესაბამისი საექსპერტო დასკვნის და განხორციელებული სამშენებლო სამუშაოების უსაფრთხოების შესახებ დასკვნის წარდგენის შემდეგ, მარტივი ადმინისტრაციული წარმოების წესით განიხილავს საკითხს და სამშენებლო სამუშაოებისათვის - შენობა-ნაგებობის, მზიდი ელემენტების, ექსტერიერის რეკონსტრუქცია „მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24

მარტი №57 დადგენილებით განსაზღვრული წესით ადასტურებს დარღვევით განხორციელებულ მშენებლობას უკვე წარმოებული მშენებლობის გათვალისწინებით.

4. ამ მუხლით გათვალისწინებული სამართალდარღვევისათვის სამართალდამრღვევი სუბიექტის მიერ შესაბამისი დონის ბიუჯეტში ჯარიმის/საურავის ან მისი ნაწილის სახით გადახდილი თანხა უკან დაბრუნებას არ ექვემდებარება.

5. ამ მუხლის მოქმედება არ ვრცელდება:
ა) მეხუთე კლასისათვის მიკუთვნებულ შენობა-ნაგებობებზე;
ბ) „კულტურული მემკვიდრეობის შესახებ“ საქართველოს კანონით განსაზღვრულ უძრავ ძეგლებზე.“

მუხლი 2. ეს კანონი ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

საქართველოს პრეზიდენტი **გიორგი მარგველაშვილი**